

საქართველოს კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, მის ფუნქციებსა და ამოცანებს, სამსახურის მოსამსახურეთა (სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირი, საჯარო მოსამსახურე, აღნიშნული სამსახურის მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურე (შემდგომში - მოსამსახურე)) მიერ სამსახურის გავლის წესს, მათი სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლის ფორმებს და სხვა საკითხებს.

მუხლი 2. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემას, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვას და ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებსა და ამოცანებს.

2. სამსახურის სისტემა მოიცავს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგნოებს და მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

3. სამსახური და მისი თანამდებობის პირები უფლებამოსილნი არიან სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე სრული სახით გამოიყენონ სახელმწიფო გერბი.

4. სამსახური უფლებამოსილია ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, საარქივო მასალა), აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს. დოკუმენტზე ელექტრონული

ხელმოწერა, აგრეთვე ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი, საქართველოს სხვა კანონები, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები

სამსახურის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;
- გ) საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობა;
- დ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია;
- ე) დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ვ) თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება;
- ზ) პოლიტიკური ნეიტრალობა.

მუხლი 5. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;
- ბ) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;
- გ) სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემისა და ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;
- დ) ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ე) ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლა;
- ვ) ტრანსნაციონალური ორგანიზებული და სხვა საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ზ) საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

თ) სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა რეალიზაცია და მათი შესრულების კონტროლი;

ი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ დანაშაულთა თავიდან აცილება, გამოვლენა, აღკვეთა და გამოძიება;

კ) სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვის მიზნით სხვა საჭირო ღონისძიების განხორციელება.

თავი II. სამსახურის შემადგენლობა, სამსახურის უფროსის არჩევა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტა

მუხლი 6. სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები

1. სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) აწესრიგებს სამსახურის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) გამოსცემს ნორმატიულ აქტებს „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

გ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მოსამსახურეებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

ე) დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს სამსახურის უფროსის მოადგილეებს;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს მოსამსახურეებს სახელმწიფო სპეციალურ და სამხედრო წოდებებს;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსამსახურეებს, წარადგენს მათ სახელმწიფო ჯილდოზე;

თ) ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ი) წარმოადგენს სამსახურს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

კ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

4. სამსახურის უფროსის მოადგილეებს, სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-

მინისტრი.

5. სამსახურის უფროსის მოადგილეთა უფლებამოსილება განისაზღვრება სამსახურის დებულებით, სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 7. სამსახურის უფროსის არჩევის წესი

1. სამსახურის უფროსის კანდიდატურას საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საქართველოს მთავრობა, სამსახურის უფროსის კანდიდატურის მოწონების შემთხვევაში ასარჩევად წარუდგენს მას საქართველოს პარლამენტს.

2. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი კანდიდატურის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა ირჩევს სამსახურის უფროსს.

3. საქართველოს პარლამენტი, სამსახურის უფროსის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

4. საქართველოს პარლამენტი, სამსახურის უფროსს ირჩევს 6 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

მუხლი 8. სამსახურის უფროსის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. სამსახურის უფროსის თანამდებობა შეუთავსებელია სახელმწიფო ან კერძო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. სამსახურის უფროსი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

2. სამსახურის უფროსი ვალდებულია არჩევიდან 1 თვის ვადაში შეწყვიტოს მის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა. თუ სამსახურის უფროსი ამ ვადაში არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, მისი უფლებამოსილება ვადამდე წყდება და საქართველოს მთავრობა ამ კანონით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ახალ კანდიდატურას.

მუხლი 9. სამსახურის უფროსის ანგარიშვალდებულება

1. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. სამსახურის უფროსი, როგორც საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემის ხელმძღვანელი, ანგარიშვალდებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის წინაშე.

2. სამსახურის უფროსი ვალდებულია წელიწადში ერთხელ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით წარდგეს საქართველოს პარლამენტის წინაშე.

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია შეაფასოს სამსახურის უფროსის მიერ გაწეული საქმიანობა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დაამტკიცოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები.

მუხლი 10. სამსახურის უფროსის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. სამსახურის უფროსს უფლებამოსილება უწყდება, თუ:

- ა) მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- ბ) მან ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა;
- გ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- დ) ის სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- ე) მან დაიკავა ან უკავია სამსახურის უფროსის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ახორციელებს მასთან შეუთავსებელ საქმიანობას;
- ვ) ის ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან;
- ზ) მას გაუვიდა უფლებამოსილების ვადა;
- თ) მას უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს პარლამენტმა;
- ი) ის გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სამსახურის უფროსს უჩერდება სამსახურებრივი უფლებამოსილება და მის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

3. ამ მუხლის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურის უფროსისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.“.

თავი III. სამსახურის ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებანი

მუხლი 11. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

სამსახური ძირითადი ფუნქციებია:

- ა) სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;
- ბ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- გ) სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განხორციელება;

დ) სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

ე) სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა გამოვლენა და გამოძიება;

ვ) სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზი და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება.

მუხლი 12. სამსახურის ძირითადი უფლებამოსილებანი

1. სამსახური პრევენციული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად განახორციელოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის ვინაობის დადგენის მიზნით შეუმოწმოს პირს პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ არის საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ მან ჩაიდინა სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაული, ან თუ ესეთი შემოწმება დაკავშირებულია მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან;

ბ) მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, გაუწიოს მას პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;

გ) გააფრთხილოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები იმ დარღვევათა შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამის უწყებებთან ერთად მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობათა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების, აგრეთვე საქართველოს საზღვრების გარეთ საქართველოს დაწესებულებებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ე) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

ვ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოს სახელმწიფოს სამობილიზაციო-გამწვევი პუნქტებისა და ოპერატიულ-მმართველობითი შტაბების უსაფრთხოება და მზადყოფნა;

ზ) უზრუნველყოს სამსახურის სრული სამობილიზაციო მზადყოფნა;

თ) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს ინფორმაცია იმ დანაშაულებზე,

რომელთა შესახებ საქმის წარმოება სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება, აწარმოოს ასეთ დანაშაულთა ჩამდენი პირების აღრიცხვა;

ო) აცნობოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებსა და დაინტერესებულ უწყებებს სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;

კ) ღია და ფარული წყაროებიდან განახორციელოს ინფორმაციის მოპოვება, მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება და განზოგადება;

ლ) უზრუნველყოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება;

მ) უზრუნველყოს მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო ბრუნვის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

ნ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

2. სამსახური სახელმწიფო უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს გამოძიება, დანაშაულში ბრალდებულ და დამნაშავე პირთა ძებნა-დაკავება;

ბ) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, აგრეთვე საგამოძიებო და ფარული საგამოძიებო მოქმედებები;

გ) პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში;

დ) გადაუდებელი აუცილებლობისას გამოიყენოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების (გარდა უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის და საკონსულო დაწესებულებისა) კუთვნილი:

დ.ა) კავშირგაბმულობის საშუალებები - შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან აუცილებელი კომუნიკაციის დასამყარებლად;

დ.ბ) სატრანსპორტო საშუალებები - შემთხვევის ადგილზე მისასვლელად, დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან რომელიც ბრალდებულია მის ჩადენაში;

შენიშვნა: ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამსახური ვალდებულია კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს აუნაზღაუროს გაწეული ხარჯი და მიყენებული ზიანი.

ე) უზრუნველყოს კომპიუტერული მონაცემებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საექსპერტო-კრიმინალისტიკური გამოკვლევა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებებში;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

3. სამსახური, კონტრაზვერვითი საქმიანობის მიმართულებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტრაზვერვითი საქმიანობა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ორგანიზაციების საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დაზვერვითი საქმიანობის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, აგრეთვე მიიღოს საჭირო ზომები სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ბ) სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სამხედრო ძალებში აწარმოოს კონტრაზვერვითი საქმიანობა;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

4. სამსახური, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და რეალიზაციაში, განახორციელოს კონტროლი მათ შესრულებაზე იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებში (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა), სადაც წარმოებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა;

ბ) შეამოწმოს პირი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დასაშვებად;

გ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში განახორციელოს კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის იმ ელექტრონული საშუალებების კონტროლი, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შესაქმნელად, დასამუშავებლად, შესანახად და გასაგზავნად;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეამოწმოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმოების უფლების მისაცემად სათანადო ნებართვის გაფორმებისათვის;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

5. სამსახური, სახელმწიფოს სტრატეგიული დანიშნულების და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების უსაფრთხოების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) სათანადო უწყებებთან ერთად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, ოპერატიულად უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სტრატეგიული ობიექტებისა და სახელმწიფო ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირების დაცვა;

გ) საჭიროების შემთხვევაში, თავისი ამოცანების შესასრულებლად, კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს უშიშროებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენლობებში დანიშნოს ოფიცერი უშიშროების საკითხებში;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

6. სამსახური, მასში შემაჯავლი დანაყოფების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისა და დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ბრუნვის კონტროლის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სამსახურის სისტემის დანაყოფებთან გამართული უწყებრივი კავშირი;

ბ)

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დაკვირვების ელექტრონული საშუალებების (საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების და ჩაწერისათვის, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის ფარული მოხსნისა და ფიქსაციისთვის, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა ფარული კონტროლისთვის, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერისათვის, ფარული კინო და ფოტო-გადაღებისთვის, ელექტრონული თვალყურის დევნებისთვის, აგრეთვე ელექტრონული, რადიოელექტრონული და მაღალსიხშირული მოწყობილობები, რომლებსაც გააჩნიათ დაშიფვრის სპეციალური საშუალება და გამოიყენებიან ინფორმაციის გადასაცემად, მისაღებად, შესანახად და დასაცავად, და სხვ.) საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანის, დამზადების და შეძენის კონტროლი;

გ) გზებსა და შენობის გარე პერიმეტრზე, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამონტაჟოს/განათავსოს აგრეთვე გამოიყონოს სამსახურის ან/და სხვის მფლობელობაში არსებული დამონტაჟებული ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

7. სამსახურის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის სამართლებრივი აქტებით. აღნიშნული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ უნდა ლახავდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა აზიანებდეს გარემოს.

მუხლი 13. იმ პირთან ურთიერთობა, რომელიც დახმარებას უწევს სამსახურს

1. სამსახური უფლებამოსილია, მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად გამოიყენოს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი კონფიდენციალური დახმარება და ამისთვის მათთან დაამყაროს ღია ან ფარული ურთიერთობა.

2. სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზნით პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით თანამშრომლობს და დახმარება გაუწიოს სამსახურს.

3. პირს, რომელიც დახმარებას უწევს სამსახურს, უფლება აქვს:

ა) სამსახურთან დადოს კონტრაქტი კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ;

ბ) სამსახურის თანამშრომლებისაგან მიიღოს განმარტებები თავისი ამოცანების, უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე;

გ) კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს პირადობის დამადასტურებელი დამიფრული დოკუმენტები;

დ) მიიღოს ანაზღაურება კონტრაქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ ზიანის კომპენსაცია, რაც მიადგა მის ჯანმრთელობას ან ქონებას სამსახურისათვის დახმარების გაწევისას.

4. პირი, რომელიც კონტრაქტის საფუძველზე დახმარებას უწევს სამსახურს, ვალდებულია:

ა) შეასრულოს სამსახურის დავალებები მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად;

ბ) დაიცვას სამსახურთან დადებული კონტრაქტის პირობები;

გ) განზრახ არ მიაწოდოს სამსახურს ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია.

5. პირი, რომელიც დახმარებას უწევს სამსახურს, ამ სამსახურისათვის განზრახ ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაციის მიწოდებისათვის, ამ კანონით დაცული იმ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურთან თანამშრომლობის დროს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. იმ პირის სოციალური უფლებების დაცვა, რომელიც დახმარებას უწევს სამსახურს, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი IV. იძულების ღონისძიებები

მუხლი 14. იძულების ღონისძიებები

1. იძულების ღონისძიებები არის სამსახურის მოსამსახურის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის ამ კანონით გათვალისწინებული მიზნებით გამოყენება.

2. დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად მოსამსახურე უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.

3. მოსამსახურე უფლებამოსილია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სპეციალური მომზადება.

4. სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელი ან შეუძლებელია.

5. იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე, იძულების ღონისძიების გამოყენებისას მოსამსახურე უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.

6. მოსამსახურე ვალდებულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს იძულების ღონისძიებების გამოყენებით დაზიანებულ პირს.

7. მოსამსახურეს ეკრძალება ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით.

8. აკრძალულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ სამსახურის წარმომადგენლებს (მოსამსახურეებს), რაც საფრთხეს უქმნის სხვა პირის ან მოსამსახურის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ ასეთი თავდასხმისა და წინააღმდეგობის სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით მოგერიება

შეუძლებელია.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებლობა შეუძლებელს ხდის ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციის შესრულებას.

10. პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მოსამსახურის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში.

მუხლი 15. ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება

1. მოსამსახურეს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები, საკუთარი თავის ან/და პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის აღსაკვეთად, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად, თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მოსამსახურის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულებას.

2. მოსამსახურე ვალდებულია ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად პირის დაზიანების შესახებ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირის დაზიანების შესახებ უშუალო უფროსისა და პროკურორისათვის შეტყობინება შეუძლებელია, დაკავშირებულია განსაკუთრებულ სირთულეებთან ან ხელს შეუშლის დაკისრებული ფუნქციის შესრულებას.

3. თუ ფიზიკური ძალა პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გამოიყენება, ამის შესახებ ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა უნდა აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.

მუხლი 16. სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება

1. მოსამსახურე სახელმწიფო უსაფრთხოების დასაცავად იყენებს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს.

2. პასიური სპეციალური საშუალებები უზრუნველყოფს მოსამსახურის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ასეთი სპეციალური საშუალებებია: ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინალი და სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები.

3. აქტიური სპეციალური საშუალებები პირს მოკლე ვადით უსპობს მოსამსახურისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს ან/და მოსამსახურეს ეხმარება დაკისრებული ფუნქციის შესრულებაში. ასეთი სპეციალური საშუალებებია: ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი), ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა,

ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება, წყალსატყორცი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძალი და სასამსახურო ცხენი, ელექტრომოკური მოწყობილობა და შესაბოჭი ბადე. აღნიშნული სპეციალური საშუალებები გამოიყენება:

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს მოსამსახურეს, ან გაქცევას ცდილობს; დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირებისას; თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთარ თავსა და სხვას;

ბ) სპეციალური ხელკეტი – პირზე, მოსამსახურეზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი ან მართლწესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება მოსამსახურის კანონიერ მოთხოვნას; მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

გ) ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება და არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი) – პირზე, მოსამსახურეზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, დატოვოს დაკავებული ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

დ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა – სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, პირზე ან/და მოსამსახურეზე თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პირის დასაკავებლად; შენობა-ნაგებობიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დამნაშავის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის გამოსაძევებლად, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გასათავისუფლებლად;

ე) ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება – სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა მოსამსახურის მოთხოვნა გაჩერების შესახებ და რომლის მოქმედებაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან თუ ასეთი საშუალების გამოყენება აუცილებელია პროპორციული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად;

ვ) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას, დახურული სივრციდან უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გასათავისუფლებლად;

ზ) წყალსატყორცი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება – მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო

საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა მოსამსახურის მოთხოვნა გაჩერების შესახებ, შეიარაღებული დამნაშავეის დასაკავებლად;

თ) სპეციალური საღებავი – დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად;

ი) სასამსახურო ძალი – მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირებისას, პირზე ან/და მოსამსახურეზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

კ) სასამსახურო ცხენი – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, პატრულირებისას, მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად;

ლ) ელექტროშოკური მოწყობილობა – პირზე, მოსამსახურეზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

მ) შესაბოჭი ბადე – სამართალდამრღვევის დევნისას, შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად, თავდამსხმელის შესაპყრობად.

4. მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირის დაჭრის ან დაზიანების შესახებ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.

5. თუ სპეციალური საშუალება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გამოიყენება, ამის შესახებ ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა უნდა აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.

6. სამსახურის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესები განისაზღვრება სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.

მუხლი 17. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. მოსამსახურეს უფლება აქვს, შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე სამსახურის უფროსის მიერ მიერ დადგენილი წესის შესაბამისად – დამატებითი სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღი.

2. მოსამსახურის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს სამსახურის უფროსი.

3. ცეცხლსასროლი იარაღის პასიურ გამოყენებად ითვლება მოსამსახურის მიერ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იარაღის დემონსტრირება.

4. ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებად ითვლება იარაღიდან გამიზნული გასროლა.

5. მოსამსახურეს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

ა) პირისა და საკუთარი თავის დასაცავად, როდესაც საფრთხე ექმნება სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

ბ) უკანონოდ თავისუფლებაადკვეთილის გასათავისუფლებლად;

გ) მისთვის წინასწარი ცნობით ძალადობრივი ქმედებისათვის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დაკავებულის გაქცევის აღსაკვეთად;

დ) ძალადობრივი დანაშაულის აღსაკვეთად, თუ პირი წინააღმდეგობას უწევს მოსამსახურეს;

ე) დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოგერიებისას;

ვ) საშიში ცხოველის თავდასხმისაგან ადამიანის დასაცავად;

ზ) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით მისი დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და მძღოლი არ ემორჩილება მოსამსახურის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, გარდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის სროლისა.

6. პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს მისი გამოყენების შესახებ სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ – გამაფრთხილებელი გასროლა. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა არ განხორციელდეს.

7. გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება:

ა) შეიარაღებული თავდასხმისას, აგრეთვე საბრძოლო ტექნიკით, ნებისმიერი სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

ბ) მოსამსახურისათვის წინასწარი ცნობით სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დაკავებულის ან დაპატიმრებულის გაქცევისას;

გ) პირის მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

დ) განგაშის სიგნალის მისაცემად ან დამხმარე ძალის გამოსამახებლად;

ე) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

ვ) სასიკვდილოდ დაზიანებული ან დასნებოვნებული ცხოველის სიცოცხლის შესაწყვეტად, როდესაც ნათელია, რომ პრობლემის სხვაგვარად გადაჭრა შეუძლებელია.

8. ცეცხლსასროლი იარაღის ისეთი გამოყენება, რომელიც შეიცავს სასიკვდილოდ დაჭრის საფრთხეს, შეიძლება მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

9. მოსამსახურეს ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც არსებობს სხვა პირთა დაშავების საფრთხე, აგრეთვე ცეცხლსაშიშ და აფეთქებასაშიშ ადგილებში, გარდა აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევისა.

10. მოსამსახურე ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.

11. მოსამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხა დგინდება სამსახურის უფროსის ბრძანებით.

თავი V. სამსახურის გავლა

მუხლი 18. სამსახურის გავლის წესი

1. მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.

2. მოსამსახურეს ეკრძალება:

ა) გაფიცვა, აგრეთვე შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობა;

ბ) მოსამსახურეს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის ან/და პოლიტიკური გაერთინების წევრობა;

გ) სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების, აგრეთვე კონფიდენციალური და შინასამსახურებრივი მონაცემების შემცველი ინფორმაციის, პერსონალური მონაცემებისა და გამოძიების მასალების გამჟღავნება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 19. სამსახურებრივი შეუთავსებლობა და სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა

1. სამსახურის სპეციალური და სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეს, სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, უფლება არა აქვს:

ა) ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს;

ბ) ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა დაწესებულებაში, უცხო ქვეყნის ორგანოში/დაწესებულებაში.

2. სამსახურის საჯარო მოხელესა და სამსახურის მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურეს (სამოქალაქო პირს) უფლება აქვს შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს მხოლოდ იმავე დაწესებულებაში.

3. სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურეს და დამხმარე მოსამსახურეს უფლება აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს იმავე დაწესებულებაში ან სხვაგან, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს ან სამსახურის მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელთან წერილობითი შეთანხმებით.

4. სამსახურის სპეციალური და სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეს, აგრეთვე საჯარო მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია მხოლოდ ფლობდეს აქციებსა და წილს.

მუხლი 20. სამსახურში მიღების წესი

1. სამსახურში სამუშაოდ მიიღება 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და რომელსაც თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოსამსახურის ფუნქციები.

2. სამსახურში სამუშაოდ მისაღებ კანდიდატს შეარჩევენ სამსახურის საკადრო დანაყოფი და სპეციალური კომისია, რომლებიც ამოწმებენ კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ფიზიკურ მომზადებას, განათლებასა და საქმიან თვისებებს.

3. სამსახურში ცალკეულ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გადის სპეციალური მომზადების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს სამსახურში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ.

4. წვევამდელის სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება სამსახურის უფროსი სამართლებრივი აქტებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

5. სამსახურში სამუშაოდ მისაღები კანდიდატი გადის სპეციალურ შემოწმებას, რომელიც განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით. სამუშაოზე მიღების შემდეგ მოსამსახურე მიეკუთვნება სამსახურის ღია ან ფარულ შემადგენლობას, რაც განისაზღვრება სამსახურის საშტატო განრიგის შესაბამისად.

6. სამსახურში მიღების/დანიშვნის ან სამსახურიდან გათავისუფლების/დათხოვნის შესახებ სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით. აღნიშნული წესით გამოცემული სამართლებრივი აქტი ჩაბარებულად ითვლება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში იმ პირის მისამართზე გაგზავნის მომენტიდან, რომელსაც უშუალოდ შეეხება სამსახურში მიღების/დანიშვნის ან სამსახურიდან გათავისუფლების/დათხოვნის (მათ შორის, თანამდებობიდან გადაყენების) შესახებ სამართლებრივი აქტი.

მუხლი 21. სამსახურში მიღებისათვის დადგენილი შეზღუდვები

სამსახურში არ მიიღება:

- ა) ნასამართლესი პირი;
- ბ) პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს;
- გ) პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერის მიძღვრულად არის ცნობილი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
- ე) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა სნეულებით დაავადებული პირი. სნეულებათა ჩამონათვალს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი სამსახურთან შეთანხმებით;

ზ) პირი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

თ) სხვა ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, გარდა კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 22. მოსამსახურის თანამდებობიდან დროებით გადაყენება

1. მოსამსახურე საგამოძიებო ორგანოს დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის, სამსახურის გენერალური ინსპექციის სათანადო დასკვნის ან შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე, სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება დროებით გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. თანამდებობიდან გადაყენებული მოსამსახურე გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს ბოლო დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის ტოლფას თანამდებობაზე. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 23. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის წესი

1. მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს:

ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე;

ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს;

დ) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო;

ე) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;

ვ) წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის გამო, მოსამსახურის თანხმობის შემთხვევაში;

ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის გამო;

თ) თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო;

ი) მოქალაქეობის შეცვლის გამო;

კ) სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით;

ლ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის

შესაბამისად;

მ) უფრო-უკველად დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის გამო;

ნ) გარდაცვალების გამო;

ო) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

2. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 24. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანა

1. მოსამსახურე (სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირი, საჯარო მოხელე) საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით:

ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე;

ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს ან მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს.

2. კადრების განკარგულებაში აყვანილ მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს მოვალეობის დროებით შესრულება.

3. კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

მუხლი 25. წოდებები სამსახურში

1. სამსახურში დაწესებულია შესაბამისი სახელმწიფო სპეციალური და სამხედრო წოდებები, რომელთა მინიჭების საფუძველები და წესი განსაზღვრულია ამ კანონითა და სხვა აქტებით.

2. მოსამსახურეს სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდება ენიჭება, თუ მას უკავია თანამდებობა, რომლისთვისაც განსაზღვრულია მისანიჭებლის თანაბარი ან უფრო მაღალი წოდება.

3. მოსამსახურისთვის წოდების მინიჭება საფეხურის გამოტოვებით დაუშვებელია და ხორციელდება მხოლოდ თანამიმდევრობით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 26. სამსახურის ვადა წოდების მისანიჭებლად

1. სამსახურში სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სამსახურის ვადა, გარდა უმცროსი სპეციალური წოდებებისა.

2. უმაღლესი სახელმწიფო სპეციალური და სამხედრო წოდებების მისანიჭებლად სამსახურის ვადა არ წესდება. აღნიშნულ წოდებებს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი სამსახურის უფროსის წარდგინებით.

3. განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით წოდების ვადამდე მინიჭების უფლება აქვს სამსახურის უფროსს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

მუხლი 27. მოსამსახურის წახალისება

1. სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისა და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის მოსამსახურის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი პრემიის მიცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) სამსახურის სიგელით დაჯილდოება;
- ე) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- ვ) სამსახურის მედალიონით დაჯილდოება;
- ზ) სამსახურის მედლით დაჯილდოება;
- თ) მორიგი წოდების ვადამდე მინიჭება;
- ი) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- კ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით დაჯილდოება;
- ლ) სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

2. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსამსახურის წახალისების რამდენიმე ფორმა.

3. მოსამსახურის წახალისების უფლება აქვს საამისოდ უფლებამოსილ პირს.

4. პირის მიერ სამსახურისთვის გაწეული დახმარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წახალისების ფორმები, გარდა „ე“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წახალისების ფორმებისა.

5. მოსამსახურის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესს ადგენს სამსახურის უფროსი.

მუხლი 28. მოსამსახურის პასუხისმგებლობა

1. მოსამსახურე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დანაშაულის ჩადენისათვის სამსახურის დაკავებული, დაპატიმრებული ან

მსჯავრდებული მოსამსახურე თავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინგენტისგან იზოლირებულად.

3. სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამსახურის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) სამსახურის სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;

ე) სპეციალური ან სამხედრო წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;

ვ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;

ზ) სამსახურიდან დათხოვნა.

4. სამსახურის მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების და მისი მოხსნის წესს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.

მუხლი 29. მოსამსახურის ფორმის ტანსაცმელი

1. მოსამსახურე შეიძლება ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს.

2. მოსამსახურეს თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მოწმობა ან/და სპეციალური ჟეტონი.

მუხლი 30. მოსამსახურის სამუშაო დრო

1. მოსამსახურისთვის დადგენილია არანორმირებული სამუშაო დღე.

2. სამსახურის სისტემაში ან მის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებში, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრული ვადით შეიძლება გამოცხადდეს მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი. განსაკუთრებული რეჟიმის დროს მოსამსახურეები იმყოფებიან მათთვის გათვალისწინებულ სამუშაო ადგილას. მოსამსახურეს სამუშაო ადგილის დატოვება შეუძლია მხოლოდ უშუალო უფროსის ნებართვით.

3. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის ან სხვა ექსტრემალური ვითარების დროს სამსახური გადადის მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე.

თავი VI. მოსამსახურის სამართლებრივი და სოციალური დაცვა

მუხლი 31. მოსამსახურის სამართლებრივი დაცვა

1. მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელისუფლების წარმომადგენელია და მას სახელმწიფო იცავს.

2. არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მოსამსახურისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მუქარა, წინააღმდეგობის გაწევა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. მოსამსახურეს, რომელიც უარს ამბობს, შეასრულოს აშკარად უკანონო ბრძანება ან განკარგულება, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო აშკარად უკანონო ბრძანების ან განკარგულების მიმცემ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

5. მოსამსახურეს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად უშუალოდ მიმართოს სასამართლოს.

6. მოსამსახურის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 30 კალენდარული დღე.

7. სამსახურში მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟის მქონე მოსამსახურის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 35 კალენდარული დღე, ხოლო 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე მოსამსახურისა – 40 კალენდარული დღე.

8. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია მოსამსახურის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება.

9. მოსამსახურის ხელფასი (ფულადი სარგო) შედგება თანამდებობრივი სარგოსა და წოდებისათვის დადგენილი სარგოსგან.

10. მოსამსახურეს, ხელფასის გარდა, შეიძლება მიეცეს ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატი და კომპენსაცია.

11. მოსამსახურის ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს და წოდებისათვის დადგენილი სარგოს) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატისა და კომპენსაციის ოდენობებს, აგრეთვე მათი გაცემის პირობებსა და წესს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.

მუხლი 32. მოსამსახურის სოციალური დაცვა

1. მოსამსახურის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

2. უზრუნველყოფილია მოსამსახურის სავალდებულო ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სახელმწიფო დაზღვევა.

3. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურეს 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ბოლო დაკავებული თანამდებობის ხელფასი (ფულადი სარგო).

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი მოსამსახურეს სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით,

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მოსამსახურის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრის (წევრების) სამედიცინო მომსახურების პირობებსა და წესს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში მოსამსახურისათვის სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს ერთჯერადი დახმარების, სხვა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

8. სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსამსახურეს შესაძლებელია საცხოვრებლად სარგებლობაში გადაეცეს სამსახურის ბალანსზე რიცხული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინა, სახლი, დამხმარე ნაგებობები და მათზე მიმაგრებული მიწის ფართობი.

9. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, მის ოჯახს (მემკვიდრეს) სამსახურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოსამსახურის დაკრძალვის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.

10. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (პრევენციული ღონისძიების, სამართალდარღვევის აღკვეთის, დამნაშავის შეპყრობის, დამნაშავეობასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკების, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმის, აგრეთვე მოქალაქის სიცოცხლის გადარჩენისას) მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, მის ოჯახს (მემკვიდრეს) სამსახურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოსამსახურის დაკრძალვის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.

11. სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, ეკონომიის არსებობის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტის საფუძველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული მოსამსახურის ოჯახის წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს შესაძლებელია მიეცეს დამატებითი მატერიალური და ფულადი დახმარება.

12. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის

დაზიანების შემთხვევაში, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მას ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

- ა) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;
- ბ) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;
- გ) ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისას – 2 000 (ორი ათასი) ლარი.

13. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, თუ ეს დაზიანება შეუძლებელს ხდის მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას, სამსახური უზრუნველყოფს ამ მოსამსახურის აღნიშნული სამსახურის სისტემაში, მისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე დასაქმებას.

14. თუ ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახური ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს მოსამსახურის დასაქმებას, უმუშევრობის პერიოდში, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა, მას ყოველთვიურად ეძლევა კომპენსაცია ბოლო დაკავებული თანამდებობის თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით.

15. მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი დგინდება კანონით დადგენილი წესით.

თავი VII. სამსახურის დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა

მუხლი 33. სამსახურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები და ტერიტორიული ორგანოები ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თუ მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს, ამ სატრანსპორტო საშუალებას საწვავით უზრუნველყოფს სამსახური, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

მუხლი 34. სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები

1. სამსახური ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და იყენებს ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.

2. სამსახურის მიერ გამოყენებულმა ოპერატიულ-ტექნიკურმა საშუალებებმა და

გამოყენების მეთოდებმა არ უნდა შელახოს პირის პატივი და ღირსება, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არ უნდა დააზიანოს გარემო.

3. ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 35. სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფა

1. სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფა ხორციელდება საინფორმაციო სისტემების შექმნითა და გამოყენებით.

2. სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ სამართალდარღვევათა, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ცნობების აღრიცხვის საფუძველი და წესი განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით.

თავი VIII. კონტროლი და ზედამხედველობა სამსახურის საქმიანობაზე

მუხლი 36. საპარლამენტო კონტროლი

1. სამსახურის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ფორმები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს პარლამენტის წევრებმა კანონით დაცული ინფორმაცია სამსახურისაგან შეიძლება მიიღონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 37. სამთავრობო კონტროლი

სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

მუხლი 38. სასამართლო კონტროლი

იმ საგამომიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარება, რომლებიც ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, დაიშვება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 39. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზედამხედველობა

სამსახურის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

მუხლი 40. საპროკურორო ზედამხედველობა

სამსახურის, როგორც საგამოძიებო ორგანოს, საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობენ საქართველოს მთავარი პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

მუხლი 41. მოსამსახურის საქმიანობის შიდა კონტროლი

1. მოსამსახურის საქმიანობას აკონტროლებს სამსახურის გენერალური ინსპექცია.

2. სამსახურის გენერალური ინსპექცია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და დაუშვებელია მის საქმიანობაში სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ან თანამდებობის პირის ჩარევა. სამსახურის გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია უშუალოდ სამსახურის უფროსის წინაშე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას.

3. სამსახურის გენერალური ინსპექციის უფლებამოსილება ვრცელდება სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე, ტერიტორიულ ორგანოებზე და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

4. სამსახურის გენერალური ინსპექცია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურის სისტემაში მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების ნორმების დარღვევის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას;

ბ) აკონტროლებს სამსახურის სისტემაში შემავალი დანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ამოწმებს მათ მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას;

გ) ახორციელებს სამსახურის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენასა და პრევენციას, სამსახურის სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

დ) ასრულებს სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში სამსახურის გენერალური ინსპექცია შესაბამის მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 42. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცება და აღნიშნული სამსახურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით სათანადო ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილების ასახვა, ხოლო „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანამდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. 2015 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ სამსახურის უფროსის არჩევამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს სამსახურის უფროსის და მისი მოადგილეების დროებითი მოვალეობის შემსრულებლები, რომელთა უფლებამოსილება წყდება საქართველოს პარლამენტის მიერ სამსახურის უფროსის არჩევისთანავე.

4. სამსახურის უფროსმა 2015 წლის 1 სექტემბრამდე დაამტკიცოს:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის წესი;

ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფიცის ტექსტი;

გ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

დ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი;

ე) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესი;

ვ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება;

ზ)) წვევამდელის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი;

თ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი;

ი) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა;

კ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამკერდე ნიშნის, მედალიონისა და მედლის ნიმუშები და დაჯილდოების წესი;

მუხლი 43. დასკვნითი დებულებანი

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის NN№1227–III ს კანონი.
2. ეს კანონი, გარდა 42-ე 43-ე მუხლებისა ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.
3. ამ კანონის 42-ე და 43-ე მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგვლაშვილი